არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტების მიმოხილვა და მათი საკანონმდებლო რეგულირება ქართული სამართლის მიხედვით

ნინო უშარაული

ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შალვა პაპუაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

მე, როგორც წინამდებარე ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს პირად ნამუშევარს და არ შეიცავს პლაგიატის ნიშნებს. ნაშრომი გამოყენებული ყველა სხვა ავტორის კვლევა/მოსაზრება/ნამუშევარი შესაბამისი წესით არის ციტირებული.

ნინო უშარაული

20 ივნისი 2020

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის საკვლევ საკითხს წარმოადგენს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ძირითადი აქტების მიმოხილვა და საქართველოში მათი საკანონმდებლო რეგულირება.

საქართველოში მომხმარებელთა და მეწარმეთა დიდი ნაწილი არ არის სრულფასოვნად ინფორმირებული არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტების შესახებ. შესაბამისად, რიგ შემთხვევებში, სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში განხორციელებული ქმედებები შეიძლება კეთილსინდისიერი მეწარმეობის ფარგლებს სცდებოდეს და შედეგად, არღვევდეს ერთი მხრივ, სხვა კონკურენტების, ხოლო, მეორე მხრივ, მომხმარებლების უფლებებს.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია მიმოხილულ იქნეს ყველაზე გავრცელებული არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტები, მათი გამოვლენის კონკრეტული ფორმები და საქართველოში აღნიშნული საკითხის სამართლებრივი რეგულირება. ნაშრომი ასევე მიზნად ისახავს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შედეგად პირის უფლებების შელახვის მნიშვნელოვნების უკეთ წარმოჩენას და იმ შესაძლო ზიანს, რაც შეიძლება ამ ტიპის ქმედებებს მოჰყვეს.

კვლევის შედეგებმა გვაჩვენა, რომ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტების ჩამონათვალი ძალიან ფართოა. საქართველოს კანონმდებლობაში ასახულია არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან დაცვის გარკვეული სამართლებრივი ნორმები. მიუხედავად ამისა, არის მრავალი საკითხი, რომლებსაც ჩვენი კანონმდებლობა ღიად ტოვებს. განსაკუთრებით თვალშისაცემია სასაქონლო ნიშათა აღრევის ისეთ შემთხვევები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული სპეციალური კანონმდებლობით (სასაქონლო ნიშნების შესახებ საქართველოს კანონით) და გამომდინარე აქედან, აუცილებლად საჭიროებს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ამკრძალავი ნორმებისაგან დაცვას.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ კანონმდებლობაში არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ამკრძალავი ნორმების სრულფასოვნად ასახვა საქართველოს 2014 წლის 27 ივნისს ბრუსელში საქართველო-ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმების შესაბამისადაც ევალება. შესაბამისად, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტების გამოკვლევა ამ მხრივაც მნიშვნელოვანია.

წინამდებარე ნაშრომი განკუთვნილია როგორც პრაქტიკოსი იურისტებისათვის, ისე თეორეტიკოსებისთვის. ნაშრომი ხელს შეუწყობს მომავალში ამ საკითხისადმი უფრო დიდი ინტერესის გაჩენას და სამართლით დაინტერესებული ადამინების წახალისებას გამოიკვლიონ ეს საკითხი დეტალურად. მნიშვნელოვანია, რომ რაც შეიძლება მეტმა იურისტმა გამოიჩინოს ინიციატივა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ამკრძალავი ნორმების სრულფასოვან საკანონმდებლო რეგულირებასთან დაკავშირებით.

კვლევის ჩატარებისას ძირითადად გამოყენებულია აღწერილობითი, შედარებით-სამართლებრივი და შეფასების მეთოდები. კვლევის ფარგლებში დამუშავებული იქნა სხვადასხვა ავტორთა სამეცნიერო ლიტერატურა, რომლებიც ძირითადად ეხება ევროკავშირში გავრცელებულ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტებს, აგრეთვე, ქართული კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა.